აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 17

14/07/2016 წელი ქ. ბათუმი

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის
გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისათვის, იმ საოლქო საარჩევნო კომისიების და მათი უფლებამოსილებების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ ახორციელებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას“ N163/2016 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, ყოველთვიურად გასაცემი დანამატის ოდენობა განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ზურაბ გოლიაძე

კომისიის მდივნის მ/შ